

შინაური საქმეები

უოველკვირული გაზეთი.

№ 3.

კვირა, იანვარი 18, 1909 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 2¹/₂ მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კანკიკათ.

აღმსნი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: ერთი წერილის გამო—ამბერისა; „რაც მოგივა დავითათ, ყველა შენი თავითათ“—მარგალი სკუ-ასი; პირველი ფურცელი ბიბლიისა (გაგრძელება)—ონოფრე მწირისა; ბ. ისტორია სოკიალიზმისა (გაგრძელება) ნატარყანელისა; სარწმუნოება და ისი უარის მყოფელნი ზვენში—სეფეველელისა; არა იცით წერილისა და სკდობით (გაგრძელება)—ალექსი ბერისა; ფიქრნი და უგონებანი საქართველოს ეკლესიის აწმყო და უოფილ მღვდმარეობაზე (წერალი არქიმანდრ. სეროგინა); სიტყვა აკაკისდნი, წარმოთქმული კ-ნა, ქრ. დგებუ-მისაგან.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ 1908 წლის სექტერი ფასი.

უოველკვირულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2¹/₂ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ გაზეთი ღებულობს დასაბეჭდოდ უოველგვარ განცხადებას.

ღარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერ-ლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ერთი წერილის გამო.

ღიდი მადლობის ღირსია გვს. „ღრო-ვის“ რედაქცია. მან სვეკლესიო კითხვას საქართველოში უძღვნა ერთი შინა-არსიანი მოწინავე წერილი (იხ. № 29). ეს ჩვენი სამღვდლოებისათვის სანუკუშო მოკლენათ უნდა ჩ. ითვალოს მიუსვდეს იბის, რომ აუტორი, ან უკეთ ვსთქვათ, რედაქცია ძალიან ცუდის თვალთ უუ-რებს ახლანდელ სამღვდლოებს. ეს არც

საწუენია, რადგან თვით სამღვდლოებს კარგათ გრძნობს თავის მღვდმარეობის უნუგეშობას. სასინარულოა მეტადრე ის კარგობება, რომ პატრიარქული ეპსეთი სარწმუნოების საქმეებს, — მისი ხალ-სისთვის აუცილებლობას საჯაროდ აღი-არებს, — სარწმუნოებას ეპსეთში მსჯელო-ბის ღირსად სთვლის. ეს კი ჩვენთვის ახლანდელ დროში აღსანიშნავია, რადგან იგი მოძსწავებელია არამც თუ მარტო იმისი, რომ ხალხი დაუბრუნდება სარწმუ-ნობას, რაც ჩვენ, რასაკვირველია, უო-ველთვის გვწმდა, არამედ იმისც, რომ აქტიურ მონაწილეობასაც მიიღებს იგი მის განახლება-განსვეტავება და რივიან და მართებულ გზაზე დაეწინების საქმეში, — უწინდელი მნიშვნელობის დაბრუნების-თვის ცდაში.

პატრიარქული ეპსეთის ახლანდელ სამღვდლოების



ჩვენში, მისი განახლების საქმიანობაზე და თანაც გვიხსნის მის დიად მნიშვნელობას ხალხის ცხოვრებაში.

„სარწმუნოება ცხოველ-მყოფელი და ძლიერი, თითქმის სასწაულთმოქმედი ძალაა; ის, როგორც „დიდი სულიერი ძალა, ხშირად თვალსაჩინო მატერიალურ ცვლილებასაც ქმნის“. „ცოცხალი სარწმუნოება, გულწრფელი და ღრმა, თითონ ქმნის თავისთვის გარეგან ძალას და იერარქიულ წყობილებას“. მხოლოდ ამნაირ სარწმუნოებას ჰყავს ყოველთვის მესაფერი სამღვდლოება. ოდესმე ქართველ ერსაც ჰქონია ამნაირი სარწმუნოება, მასაც ჰყავდა «სულით, გავლენით და საზოგადოებრივ მნიშვნელობით ძლიერი სამღვდლოება». მაგრამ დრონი იცვალენ, დღეს სამღვდლოება უნუკემო მდგომარეობაში იმყოფება; დაჰკარგა მან ეკონომიური ძალა, გამოიფიტა სულიერი სიმდიდრისაგან, მოძორდა სარელიგიო ლიტერატურას და თაყვის საკუთარ მშობლიურ ნიანდაგზე აღზდილი სულიერი კულტურა ქართველმა სამღვდლოებამ სინოდისაგან ნაბრძანებ რიტუალებში ჩააგდო. სულიერი ხელმძღვანელობა ხალხისა გასცვალა და დაახურდაუა უბრალო მოხელეობაზე.

სცადა სამღვდლოებამ დაკარგული დიდების აღდგენა, მაგრამ ცდა უნაყოფო გამოდგა და უარეს მდგომარეობაში ჩაჰარდა იგი. სამღვდლოებამ დაჰკარგა უძალეს სასულიერო და საადმინისტრაციო წრეების დახმარება და ხალხმაც შეუქცია

მას ზურგი, უარყო იგი. სამღვდლოება სცდილობს დასძლიოს ყველა ამაყის და ხელი შეუწეოს სარწმუნოების განახლებას. მაგრამ გაივლის რამოდენიმე დრო და «ქართველი სამღვდლოება დარწმუნდება, რომ ესლანდელი მისი იმედი უინულზე ყოფილა დაწერილი».

ნამდვილი სარწმუნოების მაგიერათ ახლან მხოლოდ მისი ლანდია. სარწმუნოებამ დაკარგა თავისი ცხოველ მყოფელი ძალა; ის შიგნიდან დაობდა, — ინტენსიბა, კვდება და სამღვდლოების ცდა, ამ სარწმუნოების გარშემო შეკრიბოს მრევლი, უნაყოფოა, რადგან თვით ეს სარწმუნოება მკვდარია. მისი ადგილი უკვე ცარიელია და სამღვდლოებამ ამ ცარიელ ადგილზე შეულის მაგიერად უნდა დანერგოს ახალი სარწმუნოება. ამის დახსენება არ შეიძლება, მერმე გვიან იქნება, რადგან მაშინ თვით ხალხი შექმნის ახალ სარწმუნოებას, ახალ რელიგიას, ვინაითგან სარწმუნოების ხალხში გაქრობა ყოველად შეუძლებელია, — ხალხს უსარწმუნოებოთ არ შეუძლია ცხოვრება.

ეს არის მოკლეთ გადმოცემული მიზანარსი კავ. „დროების“ მოწინავე წერილისა. ჩვენ, შესაძლებელია, ზოგიერთში არ დავეთანხმეთ მის ავტორს, მაგრამ ის მაინც შემოდანახელებული მიზეზისა გამო მაღლობის ღირსია ჩვენის მხრით.

მართალს ბმანებს პატივცემული კავშირით. სამღვდლოებამ დაჰკარგა ნდობა „უმაღლესი სასულიერო და საადმინისტრაციო წრეებისა“, მაგრამ ეს მას არ გაჰ-

კვირვებია, იმის სამღვდლოებს, შესაძლებელია, მოლოდინიც ჰქონოდეს, ამისთვის ალებათ ის მხათ იყო, ამას ის არ უშინდებოდა, რადგანაც ის დარწმუნებული იყო, რომ ხალხი და განსაკუთრებით ინტელიგენცია მისი თანამგრძობი და დამხმარე იქნებოდა. მართალია ამაშიც მოსტუევდა სამღვდლოება, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი?

თუცა ევლათურის თქმა აქ არ შეიძლება, არ შეიძლება ამ ვარემოებებში გულ ახდილად ითქვას, რისთვის ჰქონდა სამღვდლოებას იმედი და რწმენა ინტელიგენციის თანამგრძობისა და დამხმარებისა, მაგრამ აღსანიშნავია ის მანც, თუ რისთვის არ თანამგრძობ ინტელიგენციამ სარწმუნოების განახლების საქმეს.

ინტელიგენცია აღმაცურად უფურცდა სარწმუნოებას, სარწმუნოების განმტკიცებაზე, ეკლესიურ ცხოვრების განახლებაზე ზრუნვა განათლებულ კაცის დამაძვირებლად მიანდა. ეს ხომ ჩამორჩენის მახველები იქნებოდა, რადგან სარწმუნოებას იგი თითქმის ცრუმორწმუნობად და, როგორც ამხიონს, მოსპობის დირსად სთვლიდა. ეკლესიაზე ზრუნვა „ხუცების“ მოვალეობას შეადგენს და ვის ეხდრება მათ—ამ კლერკალიზმის გვერდში ამოუდგეს, კლერკალიზმის გამდიერებაზე იზრუნოს?!

ცოდვია ქართულ სამღვდლოებაზე ითქვას, რომ ვითომ ის კლერკალურ მიმართულების იყოს. მისი თვისება და მისწრაფება ამის წინააღმდეგია და არც არის

ჩვენში ნიადაგი კლერკალიზმის გაძლიერებისათვის. 1875 წელს დაუვიწვარი ზუბლიცისტი და მაშინდელი „დროების“ რედაქტორი ს. შესნი ამბობდა, რომ „ამ კლერკალურ ხასიათს, ჩვენდა ბედით, ჩვენი სამღვდლოება ეოველთვის მოკლებული იყო და ეს იყო და არის იმის ზირველი და საუკეთესო დირსება“. დამეთანხმება ზატვიცემული მკითხველი სანოცადოება, რომ ს. შესნი თავის შეკნებული მიმართულებით თითქმის არც ერთ ჩვენის დროის ინტელიგენტს არ ჩ მოუვარდებოდა. მაშ ამ მხრივ სამღვდლოებას არ შეეძლო ინტელიგენციის მისდაძი ანტიპატია გამოეწვია, მაგრამ მოდათ იყო შემოსული სარწმუნოების და მის მსახურთა ზოვალისწინება, მათი უარის ეოფა და ეს იყო ერთი მიზეზთაცანი იმ მოვლენისა, რომ ინტელიგენციამ უარყო ეკლესიურ განათლების საქმეში მონაწილეობის მიღების საჭიროება.

ინტელიგენცია სარწმუნოებას არ სთვლიდა დიდ ძალად ეროვნულად აღორძინების თუ ჩამოქვეითებადცემის საქმეში. მას ნათლად ვერ გაეთვალისწინებია ის მნიშვნელობა, რომელიც ამ საქმეში სარწმუნოებას ჰქონდა, აქვს და ექნება, თორემ დარწმუნებული ვარ, ამ რიგად არ იქნებოდა სარწმუნოებაზე გულ ავრილი. მართლაც ვინ უნდა იყოს ეკლესიის ზატორნი, თუ არა მორწმუნე საზოგადოება, რომელიც თვითონ შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ჰქვია ეკლესია?!

განა თვალწინ არა გვაქვს მაგალითი?

ვინ ჭეჭრონობის სომხეთის ეკკლესიას, თუ არა სომხეთა სასოგადოება და განსაკუთრებით ინტელიგენცია? ჩამოართვის სომხეთა ეკკლესიას ქონება, დაუგეტეს შკოლები. ვინ აღიმძღვას ხმა? განა მართო სამღვდლოებამ? მართო სამღვდლოებებს რომ ემოქმედნა და ინტელიგენციას ხმა არ ამოელო, დარწმუნებული ვარ, მათი ეკკლესია ვერ დაიბრუნებდა დაკარგულს. სომხის სასოგადოება ეკკლესიას უეურეს, როგორც ეროვნულ, კულტურულად წინ წამწვევ ძალას და ავი მისი ეკკლესიის მდგომარეობამ,—იმ ეკკლესიისამ, რომლის ინტერესებს მედგრად იცავს სასოგადოება,—კიდევაც წასწია წინ სომხეთა ეროვნული თვით-ცნობიერების საქმე.—ჩვენ კი? მაგრამ ვიქონიოთ იმედი, რომ ამასაც მოძველები გაასწორებს.

სასოგადოთ ხალხში კი ეკკლესიისადმი გულგრილობის მიზეზი მრავალნაირია. უკვლავ ამ მიზეზების გათვალისწინება აქ უადვილოა, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. ჩვენ მხოლოდ ვიტყვი იმაზე, რაც უკანასკნელ დროს მოხდა. სამღვდლოებებს ხალხის ნდობა დაუკარგა უკანასკნელი დროის ავტორიტორთა ქადაგებამ, მათმა ეკკლესია-სარწმუნოების უარის ყოფამ.—ამით მე არ მინდა სამღვდლოების გამართლება; მის ცხოვრებაშიაც ბევრია იმნაირი დეფექტები, რომელთაც უნდა გამოეწვიათ ეს ხალხის გულგრილობა, მაგრამ ამ ბევრში მოვისხენებ მხოლოდ იმ ერთს, რომლის წყალობით სამღვდლოება იძულებული გახდა ხალხზე

გავლენა დაეთმო სხვანაირ ქადაგებულთათვის.

როდესაც სამღვდლოებებს დრო ჰქონდა, მას ეძინა, მას ვარემბობამ წაართვა ძველესური მოქმედების უნარი, დაუკარგა ძველი მამა-შვილური კავშირი მრევლთან, ის პატივი და გავლენა, რომელიც ჰქონდა მას ერთ დროს. მიუხედავად ამისა სამღვდლოება მრევლში წარმოადგენდა შედარებით კიდევ დიდ ძალას, მას შეეძლო არ დაეთმო ხალხზე გავლენა სხვა ჯურის ქადაგებულთათვის. ამას კარგათ გრძნობდნენ მოწინააღმდეგეები, ისინი სამღვდლოებებს სთვლიდნენ მათ მოძღვრების, მათ მისწრაფების წინააღმდეგ მიმართულ ძალად და ამისთვის სცდილობდნენ დაეცათ სამღვდლოების და თვით სარწმუნოების ავტორიტეტი და პატივისცემა. მათი მიზანი იყო სამოქმედო მოედანი თვითონ ჩაეგდოთ ხელში,—მოცილებ არ ჰყოლოდათ. კიდევაც გაიმარჯვეს ამში, დაჯერეს ხალხი სარწმუნოების მანებლობაზე, — სამღვდლოება დაუსახეს ხალხს როგორც მათი უპირველესი მტერი და მათი ექსნლოატატორი. ამას ხელს უწყობდა მაშინდელი რევოლიუციონური დრო და ეკონომიური მდგომარეობა გლეხობისა. ხალხმა სამღვდლოებებს და ეკკლესიას დროებით ზურგი შეაქცია.

მიუხედავად ამისა, თუ კი სამღვდლოებებს განახლების და სარწმუნოების აღდგენის სურვილი ჰქონდა, მოვალე იყო ჯერ ხალხისთვის აესხნა სარწმუნოების მნიშვნელობა, გაეცნო მისთვის მისი წარ-

სული ღვაწლი და ამაგი ქართველ ერის გადაგვარებისაგან ხსნაში, მისი აწმყო უძველესი მდგომარეობა და მომავალი მნიშვნელობა. ამხიარი მომხადეის შეძლევა, შეიძლება, ხალხი არ განდგომოდა მას, არ ავეარა გული სარწმუნოებაზე, შობილიურ ეკლესიასზე და მის სამღვდლოებაზე. მაგრამ ამხიარი შეცთომა თითქმის ბუცილებელი იყო იმ დროს.

ქრისტიანულ მოძღვრებაზე დამყარებული სარწმუნოება არ დაეცემა, ის ხელახლად ფენიქსიერ განახლდება, დაიბრუნებს თავის უწინდელ ცხოველ-მყოფელ ძალას. ამ მოძღვრებაზე დამყარებულ ეკლესიას „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ ვერ მოკრეკიან, ვერ შეძუსრავენ.

ქრისტეს მოძღვრება, მისი იდეა ამ ქვეყნად ღვთის სასუფეველის დანახებისა, მძობა და სიყვარულის გამეფებისა. — უკუდავია, ის დარჩება სამუდამოთ. ის მართლაც „სასწაულთმოქმედი დიდი სულიერი ძალაა“, დასძლეეს გარეგან დროებით შეძუსუთავ გარემოებებს, — ის თვითონ განკრ. ვს იმ „საერთო აზრის გამეინაჲ „კედელს“, რომელსაც, გახეთის თქმით, დღეს მარტო სამღვდლოება მისხერფია და რომლის განგრევა მას სწადია“. ამით შე, რასაკვირველია, აქ ის არ მინდა ვსთქვა, რომ თვითმოქმედა საჭირო არ იყოს, რომ სამღვდლოებამ გულხელ დაკრეფილი უცქიროს აწმყო მდგომარეობას და მარტო სეგარდმო ბაღის იმედით კბაუფილდებოდეს. არა. ჰირიქით ის „ღუთა-ებრივი“ და „სასწაულთმოქმედი სულიერი ძალა“, რომელსაც წარმოადგენს ქრისტეს უკვდავი მოძღვრება, მისცემს სამღვდლოებას სიმხნეს ამ „კედლის“ განახგრევათ შემოიერთოს თვით სასოგადოება, ხალხი, რომელიც შეადგენს ეკლესიის ტანს, და ერთად იმოქმედონ მისნის მისადწევათ. აი, მაშინ კი მოსახერხებელი იქნება, რომ ამ საერთო ძალამ დახერგოს განახლებული სარწმუნოება, რომელიც უნდა იყოს ნამდვილი განხორციელება ქრისტეს მოძღვრებისა, — აღდგენა იმ ძველი სარწმუნოებისა, რომელმაც დაიცვა ჩვენი ერთი მოხვავებულ მტერთაგან, — შეუნარჩუნა მას ეროვნული სახე. მაშინ აღსდგება ის ოდესმე სულით, გააღენით და სასოგადოებრივ მნიშვნელობით ძლიერი ქართველი სამღვდლოებაც, რომელიც, გახეთის თქმით, უკვე ეოფილა ჩვენში. თუ ეს ერთობა გვექნება, მაშინ დაურწმუნდებით, რომ სამღვდლოების იმედი ეინულზე არ ეოფილა დაწერილი, ვინაიდგან ამ იმედს სამღვდლოება თვით ქართველ ერის, — მისი ინტელიგენციის თვითშემეცნებულ თანაცემობა-დახმარებაზე ამყარებდა. როდესაც სასოგადოება მივა ამ რწმენამდის, როდესაც ის თავის მოვალეობად ჩანთულის სამღვდლოებასთან ერთად ისრუნოს სარწმუნოების განახლება-აღორძინებისათვის, მაშინ, უკვველია, გახეთისაგან დასმული კითხვა: „შესძლებს თუ არა ქართველი სამღვდლოება...“, საერო გახეთების ფურცლებზე შეიცვლება ამხიარად: „შეკამდებიან თუ არა ქართველ სამღვდლოებას“ და სხვ. იმედი ვიქანიოთ, რომ ეს დრო შორს არ არის.

ამერი.

„რაც მოვივა დაეითაო, ყველა შენი თაგითაო“.

თვენი მორჩილი მონა, ქვემოც ამისა ხელის მომწერი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყვირილელი სასულიერო ბეჭდითი ორგანო „მწვემსი“ მშვიდობით განვიდა ამიერ სოფლით და წიაღსა შინა აბრამისასა განისვენებს მეთქი. ამ გვარი რწმენა დამიბდა იმან, რომ ეს, ბოდიში თქვენთან, „ორკირული ქურნალი“ ბოლო დროს ძლივს ძლივობით გამოხობო-

რიკდებოდა ხოლმე ორ თვეში ერთხელ და ისიც შინაარსის მხრით მთლათ მიხრწნილი, არაქათ გამოლექული, გაძვალტყავებული, გამხმარი და გახრეკილი. ასეთი უჯანობა, სისხლნაკლებობა და უსაზღვრობა სიცოცხლის გაგრძელების ხელშემწყობი პირობები არ არიან, ამიტომ ამისთანა პირობებში მყოფის გარდაცვალება არავის არ უნდა ეჩვენოს მოულოდნელ მოვლენად. მაგრამ ჯანაოზობას ბევრი რამ შესძლება და „მწყემსის“ რედაქტორიც ხომ დიდი ხნის ცნობილი ჯანაოზია! მან ჯერ ხომ ისევ ოთხმოციან წლებში გაამდიდრა სამკურნალო მეცნიერება სამაგალითო კარაბაღინის გამოცემით და აბა როგორ არ მიიღებდა ყველა შესაძლო ზომებს, რომ მის შვილივით ნაზარდ ჟურნალს სული არ ამოხდოდა!

თურმე ნუ ბრძანებთ, და მამა დავით ლამბაშიძეს დიდი ხანია სკოდნია ისეთი უებრო საშუალება სიცოცხლის გაგრძელებისა საუკუნოებით, რომელთანაც ამ დღეებში გავაცნო თავისი მშვენიერი წერილით ექიმმა დ. ახვლედიანმა (გაზ. დროება, 1908 წ. № 35). ამ საშუალების ხელმძღვანელობით, თუ ვისიმე სიცოცხლის გაგრძელება გეწადიან, ჯერ უნდა დაეძინოთ იგი, მერე ცივ ჰაეროვან ვანნაში ჩავესათ, შემდეგ ვანნის ტემპერატურა თანდათან დავწიოთ, ე. ი. უფრო და უფრო გავაცივოთ, რომ ჩვენს პაციენტს სისხლი, ნივთიერების შეცვლა მოესპოს და სრულებით აღარ ეტყობოდეს სიცოცხლის ნიშნები. ასეთ მდგომარეობას მეცნიერულად ფსევდო-ანნა-ბიოტური მდგომარეობა რქმევია და ნიშნავს თურმე მხოლოდ სულის განაბვას, გარინდებას და არა სიკვდილს. ასეთ მდგომარეობაში ვამყოფებთ პაციენტს რამდენი ხანიც გვინდა, ხოლო თუ მისი გამოცოცხლება დაგვჭირდა, უნდა გადავასვენოთ თბილ ოთახში, ან გამოვიტანოთ შხის გულზე და ეს გაყინულ-გაკრუნჩხული არსება რამდენიმე ხნის შემდეგ გალხეება, გათბება, სისხლი ამოძრავდება, გული ცემას დაუწყებს და ისევ მოსულიერდება. აი ამ საშუალებით მამა ლამბაშიძე ხან თურმე გაპყენავს და გააფრჩხებს ხოლმე რამდენიმე თვით თავის „მწყემსს“, ხან კვალად აუმოძრავებს

ხოლმე მას გულის ცემას! აბა ჩვენ ამას რას მივხვდებოდით და როგორ წარმოვიდგენდით, რომ ორი და სამი თვით გაყინულ-გაფრჩხებული ორგანო „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“! ოჰ, შე ოხერო უცოდინაროვავ, რამდენ შეცდომებში აყენებ საცოდავ ადამიანს!

ამ დღეებში, ჩვენ რომ არ მოველოდით, ფოშტამ მოგვიტანა წარსრული წლის უკანასკნელი ნომერი ცივი ბნელი სამარიდან ახლად გამოსული „მწყემსი“სა. საბრალო ორგანოს მთლათ დაუქარგავს ფერიც, ხორციც, ჯანიც და სხვა ყოველი სიკეთეც, თვინიერ იმ თავიდანვე თანდაყოლილი გესლისა და შხამ-ვარამისა. მიხრწნილი და ღონე მიხდილი ორგანო დაუწოგავად ანთხევს და ჰფენს თვით გარშემო ამ შხამ-გესლს, ჰკბენს და სუსხავს ყველას, ვისაც კი სწვდება. აგერ ექსპროპრიატორებად მონათლა საზოგადოთ ყველა ბლადოჩინები, იქ ცარიელ ჭურებს დაადარა ქარლ-კახეთის სამღვდლოების კრების დეპუტატები, მერე სახელ გატეხილად და სამშობლოს მოლაღატედ სცნო ის მღვდელი, რომელიც ხსენებულმა დეპუტატებმა აირჩიეს თბილისში განზრახულ ახალ სასულიერო ორგანოს რედაქტორად და სხ. და სხ.

მაგრამ ამეებს ვიხსენიებთ სხვათა შორის, ჩვენ მათთან საქმე არა გვაქვს და ვფიქრობთ, დაშხამულ დასუნთქულები თითონ შესძლებენ შხამიანი ღოჯის ძირიანად ამოგდებას.

ჩვენი მახლობელი განზრახვა მივაქციოთ მკითხველების ყურადღება იმ უტიფარ გაკიცხვას, რომლითაც მამა ლამბაშიძე იხსენიებს „შინაურ საქმეებს“ და მის თანამშრომლებს. აი ლამბაშიძესაგან წამოყენებული მხილება:

„ღვთისაგან კურთხეულ ქვათათის ქალაქსა შინა გამოიცა აგერ წინ ერთი ორგანო და დღესაც გამოდის „შინაური საქმეები“-ს სახელ-წოდებით. ყველას ეკონა, რომ ეს ორგანო მღვდლის რედაქტორობით, მღვდლების და ბერების თანამშრომელობით სასულიერო ორგანო იყო, მაგრამ რედაქტორმა ამ დღეებში ოფიციალურად გამოაცხადა, რომ „შინაური საქმეები“-ს გაზეთი სრულებით სასულიერო ორგანო არ არისო“. და ამიტომაც არის

თურმე, რომ შინაური საქმეები“-ს თანამშრომლები ღობე-ყორებს ეფარებიან და თავის ვინაობას არ აცხადებენ. ეს დიდი ნაკლია ორგანოსი. ვის ეძალეებიან ან რას? ნუთუ რცხვენით თავის ვინაობის გამხელა“?... .

ერთი ვკითხობთ მ.მა დავითს—რა არის დასაკინი და საოხუნჯო იმაში, რომ გაზეთი „შინაური საქმეები“ გამოდის ქუთაისში? რათ დასკირდა მას ეს დაცინვითი კილო „ღვთისაგან კურთხეულ ქვათათის ქალაქსა შინა“ და სხ.? ნუთუ დაბა ყვირილა გარიზინის მთას წარმოადგენს და მხოლოდ იქ შეიძლება ქვემარტი ღვთის მსახურება? გვწამს და მტკიცედ ვაღვიარებთ, რომ მდინარე ყვირილასავით გულშემალონებელი ყვირილი და სტიქიური ხმაურობა სული და ხორცია ყვირლილე სულიერი ორგანოსი, მაგრამ ჩვენ არა გვშურს მწყემსის ასეთი უპირატესობა; დაე იყვიროს მან ხმის ჩახლეჩამდე და დარწმუნებული ბძანდებოდეს, რომ ამ მხრივ ჩვენ აოავითარ კონკურენციას არ გაუწევთ მას და ამაში პირველობა სიკვდილამდინ მას შერჩება.

მერე სად და როდის გამოაცხადა, მამაო დავით, „შინაური საქმეები“-ს რედაქტორმა, რომ მისი ორგანო სრულებით სასულიერო ორგანო არ არის? ჩვენ გულდადებით გადავიკითხეთ „შინაური საქმეები“-ს განცხადებები და ვერსად თქვენი სიტყვების მსგავსი ვერა ვნახეთრა. საკვირველია, საიდან გამოატყვრინეთ ასეთი ცოცხალი, მაგრამ ფებ მკლე, სიცრუე! არა გვგონია, რომ „შინაური საქმეები“-ს ნომრები, ცნობილი თ. ჟორდანიას შკოლების ანგარიშით, ორ სახედ იბეჭდებოდნენ და ამას შეეყავდეთ შეცდომაში.

შესაძლოა, მ. შვედლიძემ გითხრათ თქვენ ან სხვას ვისმეს, რომ მისი ორგანო ოფიციალური და სავალდებულო სასულიერო ორგანო არ არის, ან კიდევ ეს ორგანო საეკლესიო, ე. ი. მხოლოდ სასულიერო შინაარსის წერილების ბეჭდვის უფლებით არ არის შეზღუდული და ეს სრული სიმართლე თქვენ, ყვირილსა და განგაშს დაჩვეულმა, ან ვერ გაიგონათ რიგიანათ. ან ყველაფერი იცით, მაგრამ „მიზნებისა გამო სხვისა და სხვისა“, სიმარ-

თლეს აბრუნდის უშვრებით და თამამად აკვარაქინებთ „დარისპანისებურ“ სიცრუეს.

ფსევდონიმების ხმარებას დიდ ნაკლულევანებად სთვლის ორგანოსთვის ყვირილი ორგანოს რედაქტორი და არ გვესმის რატომ? ხალხის სიბრძნე ამბობს: „ხილი იხილე, თორემ მებაღე რაში გეკითხება“-ო. შენ ნაწერს მიაქციე ყურადღება, ნაწერს შეუფასე აზრთა სიცხოველე, საბუთიანობა, სისწორე, სიკეთე, ორგინალობა, თორემ ვისთვის რა თავში სახლეელი იქნება უმსგავსი და უშინაარსო წერილის ავტორის ნამდვილი სახელისა და გვარის გაგება? ჩვენგან აღებულ „მწყემსი“-ს მე 24 ნომერში დასტამბული წერილების ქვეშ ყველგან ავტორების შეუცვლელი სახელები და გვარებია მოწერილი: აქ ვხვდებით ჩვენ მღვდლებს კ. ცინცაძეს და ი. ლუკიანოვს, ა. პ. და უ. ი. ბალუღეს; ყველა ამ ჩამოთვლილ პირებს დაახლოებით ვიცნობთ, როგორც პატიოსნებით აღვსილ, განვითარებულ, მორწმუნე და სამშობლო ეკლესიის მოყვარულ პირებს, მაგრამ „მწყემსი“-ს აღნიშნულ ნომერში მოთავსებულ ჩამოთვლილ პირების წერილებს, როგორც განყენებულ, სხოლასტიკურ, ორგინალობას მოკლებულ, ათასჯერ გადაცოხნილგადაღეკილ, უშნო და ულაზათო შინაარსისას, არაფერ ღირსებას არ უმატებენ მათ ქვეშ შეუცვლელათ მოწერილი მეტად პატივცემული პირების სახელი და გვარები. „მწყემსის“ მე-24 ნომერი, თუმცა იქ არც ერთი წერილი არ არის ფსევდონიმიანი, მაინც უფარვისი და გლახაკია შინაარსით და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ორგანოს ღირსება განისაზღვრება თვით ნაწერის ღირსებით და არა დამწერის გვარისა და სახელის შეუცვლელიობით.

მამა დავითმა გულზე ხელი დაიდოს და თქვას, რომ მას არასოდეს თავის ორგანოში ან სხვებში არ უხმარია ფსევდონიმი, ან როგორც თითონ ულაზათოდ ამბობს, არ ამოჭვარებია „ღობე-ყორეს“. თუ ფსევდონიმის ხმარება ორგანოს ნაკლია და საძრახისი ჩვეულებაა უფრო მართებული არ იქნებოდა, რომ პირველად ამოგელო ეს დვირე თვალისაგან შენისა?!..

შესაძლოა ჩვენ ამ შენხვევაში ვცდებოდეთ; შესაძლოა ფსევდონიმის ხმარება შენ უვირილელობის განსაკუთრებით პრივილეგიას შეადგენდეს და ლათინური ანდაზის მიხედვით ჩვენ მომაკვდავ ქვათათელებს არ შეგვეფეროს თქვენთან ერთად ფეხის გამოჯგვიმვა. თუ ასეა, შეგვიჩინეთ!

ზურგ გადალტყილ ცხენს უბრალო კაქკაქისაკვირეზინიან— ზედ არ დამაჯდეს და ხორცის წიწკნა არ დამიწყოსო. ასე ემართება სწორეთ მამა ღამბაშიძესაც. ყოველთვის რომელიმე ახალ სასულიერო ორგანოს დაარსების ხმის გაგონებაზე, მას წარმოუდგენია, რომ მეორე სასულიერო ორგანო საქართველოში, ყელ გამოსაქრელი დანა იქნება მისი „მწყემსი“-სთვის. ამიტომ დოღმატად აქვს მას მიღებული ყოველი ახალი სასულიერო ორგანოსი და მუშაკის დამკირება, გაკიცხვა, ძაგება და მიწასთან გასწორება, ნაცვლად ძმურად ხელის გაწვდენისა, წახალისებისა, წინ გაძღოლისა და ნამდვილი გზის ჩვენებისა. მას ყველანი ჩამოშორდნენ, ყველანი გაუბიძიან და ერიდებიან, ბევრს, როგორც თითონა აღიარებს, სამედიატორო სამართალშიაც იწვევს, მაგრამ ხმას არ უბამენ, მაგრამ მაინც ყვირის, მაინც განგაშობს, მაინც ლობე-ყურეს ედება და ჩვეულებრივ გესლს ანთხევს. ჩვენც დიდათ ვეცდებით, რომ შორს ვიყოთ ყვირილელი ორგანოსგან, მაგრამ თუ „შინაური საქმეები“-ს უსირცხვილო კიცხვაზე ხელი არ აიღო, იძულებულები ვიქნებით მთლათ გამოვამხეთთ ამ ორგანოს შინაარსი და ამითი თითონ გაგვამართლებინებს წერილის სათაურში დასმულ ანდაზას: „რაც მოგვივა დავეითაო, ყველა შენი თავითაო“.

მარგალი სქუა.



პირველი ფურცელი ბიბლიისა.

მ ც ე ნ ა რ ე ბ ი.

(პროფ. ბეტუკისა)

(გაგრძელება*)

და სიტყვა ღმერთმან: აღმოაცენენ ქვეყნამან მწვანილი თივ სა, მთესველი თესლისა ნათესაობისაებრ და მსგავსებისა, და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლი მისი მისთანა მზგავსებისაებრ ქვეყანასა ზედა და იქმნა ეგრეთ. და გამოიღო ქვეყანამან მწვანილი თივისა მთესველი თესლსა ნათესაობისაებრ და მზგავსებისა და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლი მისი მისთანა ნათესაობისაებრ ქვეყანასა ზედა, და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად ღლე მესამე.

განუზომელ ტყეთა ტევრში, რომლითაც დაფარული იყო მაშინ ზღვიდან ახლად გამოჩენილი და ჯერ კიდევ სველი ხმელი, ზუზუნებდა და წუწუნებდა, როგორც ახლა, ქარი; მაგრამ არ გაისმოდა ფრინველთა გალობა, არ გარბოდა მხეცი და არც ერთი მატლი არ დაცოცავდა ამ უზარმაზარ ღეროებზე, დედამიწაზე ჯერ კიდევ სრული სიჩუმე მეფობდა. თითქმის მზეც არა ანათებდა ხმელს!

უვიცი დამკინველები (ვინაიდან უვიცობა და მასხარობა ჩვეულებრივ ერთის წყაროსგან გამოდის) არა ერთხელ დასკინოდნ იმას, რომ ბიბლიის სიტყვით მცენარეები გაჩნდა მზემდე, მესამე ღლეს, მზე კი—მეოთხეს; ხოლო ყველა ბავშმაც იცის, რომ მზის სინათლის უმისოდ მცენარეს არ შეუძლია განვითარებაო. იაფი გონების სიმახვილე! თითქო მოსემ კი არ იცოდა ეს! იმ პირველ ხანებში დედამიწას სხვა—არა მზისაგანი—სინათლე რომ ქონოდა, მაშინ რა? ამას მართლაც მოწმობს ერთი გარემოება, სახელდობ: ყველგან, გამოუკლებლად, ქვანახშირის ადგილებში, დედამი-

*) იხ. „შინაური საქ.“ № 2.

წის როგორც ცხელ. აგრეთვე ცივ მხარეებს, ეკვატორთან და პოლუსებთანაც ვპოულობთ ერთსა და იმავე მცენარეებს, ვებერთელა გვიმრებს და ფინიკებს, როგორც ახლა შესაძლებელია ცხელ ქვეყნებში, აქიდან ცხადად სჩანს, რომ მაშინ დედამიწაზე სინათლე და სითბო გაწესრიგებული იყო თანასწორად ყველგან, ანუ სხვანაირად რომ ვსაქვით, დღეს განახშირებულ იმ დროინდელ მცენარეებს ქონდა სხვა სინათლე—არა მზისაგანი, როგორც დადებითად აღიარებს ამას დიდი მცენარეთმეტყველი დეკანდოლი.

ამისთვის უნდა წარმოვიდგინოთ. რომ მაშინდელ დედამიწას გარს ერტყა რბილი თანასწორი ნათლის გარსი და თანასწორად თებოდა შიგნიდან.

ამგვარად, როცა ხელში გეჭირება ქვანახშირის ნაქერი, განიზრახე მცირედ მაზედ, რომ შენ გიჭირავს ნაქერი იმ მცენარისა, რომელიც ერთ დროს ყვაოდა დედამიწაზე, როცა ჯერ კიდევ არ იყო არც მზე, არც მთვარე, როცა არ იყო არც დღე ქვეყნიური, არც დრონი წლისა, არც თვით წლები და სული ადამისა ჯერ კიდევ არ განისვენებდა წიასა ღვთისასა. და როცა მიიხედავ, ამგვარად, უკან, წარსულათას წლებისკენ, გაიხედე შემდეგ წინათკენაც. ჩვენ ვიცით რომ დედამიწა ყველაფრიანად, რაც არის მაზედ, მოისპობა; მაგრამ აღთქმული გვაქვს ახალი დედამიწა, რომელზედაც მცენარეები აღორძინდება და აყვავდება წარმოუდგენელ სიმშვენიერით და ხე ცხოვრებისა, ნაყოფის გამოძღვებული ათორმეტთა ნაყოფთა, ყოველთა თვეთა მომცემელი თვისისა მის ნაყოფისა; და ფურცელნი იგი მის ხისანი საკურნებელად წარმართა“ (გამოც. იოან. 22, 2).

ონოფრე შწირო.

(შემდეგი იქნება).

ბ. ისტორია სოციალიზმისა.

სოციალიზმი ძველ დროში და სსშ-ში

(გაგრძელება.)*

ძველ დროშივე გვხვდება სხვა და სხვა სახის მთლად ან რაოდენადმე კომუნისტური საზოგადოებები. კუნძულს კრიტსზე 1300 წელში ქრისტეს შობამდე შემოდებული იყო კომუნისტური მსგავსი წყობილება, რომელიც შემდეგ ლიკურგმა გამოიყენა მაგალითად სპარტისთვის. სპარტული კომუნისტური დაწესებულებანი ჰქონდა სახეში პლატონს, როცა თავის იდეალურს სახელმწიფოში მას შემოჰქონდა პროექტი ქონებათა ზოგადობისა და შვილების აღზრდისა საზოგადო ხარჯზე, საზოგადო სასაღილოებით. არისტოტელმა, რომელმაც საფუძვლიანად გაარჩია ეს სისტემები, დაამტკიცა მათი შინაგანი სიყალბე.

იმ დროს, როცა ძველი დროის კომუნისტურს ცდას საფუძველად ჰქონდათ მონობა, მცხოვრებთა მეტი ნაწილის მონური მდგომარეობა, საქრისტიანო პირველს ეკკლესიაში, იერუსალიმში გაჩნდა თავისუფალი ზოგადობა ქონებათა მოყვასთა ქეშმარიტი სიყვარულის და ქრისტიანულ თანასწორობის საფუძველზე. ბევრი ქრისტიანული თავისუფალი სურვილით ჰყიდნენ თავის ქონებას და ფულს აძლევდნენ მოციქულებს საზოგადოების სასარგებლოდ. მათ სურდათ ნებაყოფლობითი სიღარიბით მთლად შეეწირათ თავი ღვთისა და მოყვასთა სამსახურისთვის. მაგრამ ამ გვარი მდგომარეობა საზოგადოებისა, თავის ბუნებით, თუ მივიღეთ მხედველობაში შუათანა კაცს, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ყველასთვის სავალდებულო, საყოველთაო და რაოდენადმე ხანგრძლივი.

თანამედროვე სოციალისტები დიდად სცდებიან, როდესაც სცდილობენ ქრისტე წარმოადგინონ პირველ კომუნისტად და დაამტკიცონ, რომ ქრისტიანობამ პრინციპიალურად გვახარა კომუნისტში. ქრისტე, რავდენადაც ჰკიცხავს გადამეტებულს მისწრაფებას სიმდიდრისადმი

* იხ. „შინ. საქმ.“ № 2.

და ურჩევს სულიერს სიგლახაკეს, როგორც ზნეობითი სისრულის უმაღლესს ხარისხს, იმდენადვე ენერგიულად და ცხადად სცნობს კერძო საკუთრების უფლებას არა მარტო თავისი დროსთვის, არამედ ყველა დროთა და ადგილთათვის. მას არ გაუუქმებია ძველი აღთქმის ათი მცნება, პირ იქით უფრო განაძლიერა მათი ვალდებულობა ყველა ხალხისთვის და ყველა დროში. ახალ აღთქმაში, როგორც ძველშიც, ითვლება დანაშაულად და ღვთის სჯულის დარღვევად მოპარვა მინდვრისა, სახლისა, და არა მხოლოდ მოპარვა, არამედ შურიც კი. მდიდარს ყმას, რომელიც სთხოვდა დარიგებას, როგორ მოქცეულიყო, რომ სასუფეველი დაემკვიდრნა, ქრისტემ, პირველად ყოლისა მიუგო, რომ მან უნდა დაიცვას მცნებები და სხვათა შორის მცნება „არა იპარო“ და შემდეგ, როგორც რჩევა, დაუმატა: „თუ გსურს, რომ სრული იყო, წადი გაყიდე შენი ქონებაო“ და სხვ. შეეძლო განა ქრისტეს ასეთქმა, თუ ის ჯუჯანონოდ სთვლიდა კერძო საკუთრების უფლებას? იესო ქრისტეს პირველ მოციქულთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც ჰქონდათ კერძო საკუთრება (მართა, იოსებ არიმათიელი), მაგრამ ჩვენ სახარებაში არსად არა ვხედავთ. რომ ქრისტეს მოეთხოვოს მათგან ქონებაზე უარის თქმა.

ამვე რიგად, მოციქულებსაც კერძო საკუთრება არაოდეს არ ჩაუთვლიათ ზნეობრივ დასაწუნებელ რამედ. პატრე მოციქულმა უთხრა ანანიას, რომ მას შეეძლო, როგორც სურდა, ისე მოქცეოდა თავის ქონებას. მარკოზ მოციქულის დედას, როგორც ჩვენ ვიცით („საქმე მოც.“) ჰქონდა საკუთარი სახელი. ანტიოქიიდან იერუსალიმში იგზავნებოდა კეთილმზნებლობითი შეწირულება, თვითეული სწირავდა „ხელრავისეწაფებოდა“ (საქმე მოც. XI, 24). პავლე მოციქულმა არაფერი არ იცის კომუნისტურ კანონების შესახებ. (I, კორ. XVI, 2. 2 კორ. IX, 7; 2 თესალ. III, 12).

ქრისტეს და მოციქულთა თანახმად, საქრისტიანო ეკლესიაც სცნობს საკუთრების უფლებას, სხვათა შორის, საწარმოვო იარაღზედაც, მიწა და სხვა.

ეკლესიისგან გაყოფილი მწვალებლები, მაგ. აპოსტოლიკები, ალბიგოელები, ანაბაპტისტები, წინააღმდეგ ქრისტეს მოძღვრებისა, თვით საფუძველშივე უარყოფენ კერძო საკუთრებას. თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ამ ცრუ მოძღვრებებს და აგრეთვე ზოგიერთ სახელმწიფო კომუნისტურს რომანებს, რომელთა მიზეზიც, მგონია, თომა მორმა მისცა, ჩვენ უფლება გვქონება ვთქვათ, რომ კომუნისმი და სოციალისმი საშუალო საუკუნეებში სულ არ ყოფილა.

ნაცარყანელი.

(შემდეგი იქნება.)



სარწმუნოება და მისი უარის გამოშლენი ჩვენში *).

VII.

მეტყუელება, როგორც მაქს მიუელერმა დაგვანსხვა, ცხადი ნიშანია კაცისა და ცხოველის სულიერად სხვა და სხვაობისა, მათი არსებობისა და განსხვავებულობისა. კაცია პუნებით პარმეტყუელება, ცხოველია კი პარმეტყუეა; სამუნჯე ადამიანისათვის შეადგენს ავადყოფობას, ხელოვნებას, მახანჯობას, ცხოველისათვის კი პუნებრავი მდგომარეობაა.

მეტყუელებსთან ერთად აღსანიშნია აგრეთვე ზნეობა.

დედამიწაზედ მართოდ და მხოლოდ კაცია შეძგული იმ უზენეს და ძეირფას სულის თვისებით, რომელსაც ქოადება ზნეობა, რომელიც შეადგენს კაცის განვითარების უცალობელ ძალას, რომლითაც ადამიანი აღემსტება დანარჩენ მიწურქმნალებს. მართოდ მართა ადამიანის მოქმედება ფასდება როგორც ძალად, საღმრთო და სსსაქადულო, ან მდაბადი, პაროტი და სსზზარა, მხოლოდ ადამიანის მოქმედება აზომება ზნეობის აღაბით. მართა ადამიანს შეუძლან განაჯადოს სულიერა ნეტარება ზნეობრავი მოკალობის შესრულების გამო და აგრძნოს უმწკერკალოცა ტან-

*). იხ. „ზინ. საქ.“ № 7, 1908 წ.

ვინა არდასაც არღვევს და სთელავს მას.

რა თქმა უნდა, ამ კითხვის შესახებაც, როგორც სხვაში, სულ განსხვავებულ აზრისა და შეხედულობისანი არიან დარწმუნები და დარწმუნებულები. როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, დარწმუნები და მისი მომხრეები ვაცხადებენ სთელვის მსოფლიო განვითარებულ ცხოველად, ამიტომ, მათი აზრით, შეუძლებელია ვინც მოეპოვებოდეს რაიმე უპირატესობა ცხოველთან შედარებით, ვინც სულაირ ბუნებაში აღმოჩნდეს ისეთი დიკრება, ისეთი განსაკუთრებით ძალა, თვისება, რომ იგივე არ იშლება ცხოველის სულაირ ბუნებაშია, იგი ავლდეს ცხოველს. გადასვლათ თვალის დარწმუნებულ თხუზულებებს ცხოველების ცხოვრების შესახებ და ეს ახირებულია შესაძლებელია თვალის დარწმუნებულთათვის სიგარდ-სიგანით. სხვათაგან სწავლულები ცხოველსაც ისე ზნობრივ ანსებად სთვლიან, როგორც ვაცხადებ. მათი შეხედულებით, ცხოველიც, როგორც ვაცი, განიხილავს ცხოველურს, მშობლურს და შვილებრივ, ზნობრივ სიყვარულს და თვისებას, ცხოველსაც, მსგავსად ვაცისა, იცის შეზღუდვა, თავდადება, სინანული და, თქვენ განიხილეთ, თურმე სარწმუნოებრივი გრძობაც ვი არ ავლავ მას!

ცხოველები რომ გრძობენ მოკლებულნი არ არიან — ეს უკვე ამ ვინა, ვინა მისთანავე, რომ ცხოველთა ცხოველური, მშობლური და შვილებრივი სიყვარულის გარეგნული გამოთქმა ძალის ბევრი მხრით წაგვსავს ადამიანთა ამ გვარსავე გრძობებს, მაგრამ ეს გარემოება არავითარ საბუთს არ გვაძლევს ვითყვიროთ, რომ ცხოველთა და ადამიანთა აღნიშნული გრძობები არიან ერთისა და იმავე თვისებისა, ერთისა და იმავე ბუნებისა, ერთისა და იმავე ხასიათისანი. არა, აქ ჩვენ საქმე გვაქვს მსგავსებასთან და მსგავსება ვი არსოდეს იგუივებს არ ნიშნავს, მით უმეტეს ამ შემთხვევაში, რადგანაც ვსხვადავთ მსოფლიო გარემოების და შემთხვევით ხასიათის მსგავსებას აქ ცხოველების გრძობას იწვევს და აწარმოებს ისეთი მიზნისა, რომელსაც არავითარი სახელოვე და დამოკიდებულება არ მოეპოვება ზნობისთან. ავიღოთ ბირველთა ცხოველების ცხოველური სიყვარული.

ეს სიყვარული არის მარტო მარტო ფიზიკური ხასიათისა; იგი იხილება მსოფლიო სქესობრივ მიზნადულობის ინსტიტუტის გაღვივებით-

და, როგორც ინსტიტუტი, ისე ძალუძად მოქმედობს ცხოველზე, რომ მას არ შეუძლიან ამ გრძობისთან მცირეოდენი ბრძოლა, მცირეოდენად თავის შემცირება და მოთხოვნილების მოთმენა. ცხოველი გარემოცული ხდება სქესობრივ გრძობით, იგი ბრძოთ ემორჩილება მას და ასეთ მდგომარეობაში სხვა აღარაფერი არ ავლდება მას. სანაგავრად, მოიკლეს თუ არა ცხოველებმა ეს ბრძოლა ფიზიკოლოგიური მოთხოვნილება და ამითი განათქვამს უკვე აღნიშნული, მერე სრულებით ივიწყებენ ერთმანეთს, აღარაფერი არ ახსლავებს ერთს მეორესთან, აღარაფერთა არ გამოთქვამენ ერთი მეორისადმი სიყვარულს, გულმტკიანეულობას და სულაირი განწყობილობის განუწყვეტლებას,

ასეთის ნამდვილი ბუნება ცხოველების ცხოველური სიყვარულისა და ნუთუ შესაძლებელია მისი შედარება ადამიანთა ცხოველურ სიყვარულთან? ნუთუ შეგნებულა და მიუდგომელია ადამიანისათვის სხვათაგან არ იქნება ამ გრძობების გაურთქვლობა, მათი ერთი მეორეში არევა, ერთი საზომით განზომის და ორთავეში ერთი და იმავე თვისების დანახვა? ადამიანთა ცხოველური კავშირის ანსებას და შინაარს მარტო ფიზიკოლოგიური მოთხოვნილების დამოკიდებულება შეადგენს? სანაგავს თავის თავად შეტად ნათელია და, ვგონებ, საჭიროება არ თხროლობის სიტყვის გაგრძელებას.

ესევე უნდა ვთქვათ ცხოველების მშობლურა და შვილებრივი გრძობების შესახებ. ეს გრძობებიც სხვათაგან მოკლებულნი არიან ზნობრივ დიკრებას; მშობლურს და შვილებრივ გრძობებს ცხოველებში იწვევს უმთავრესად ინსტიტუტი ნამდვილობის შესახებისა და სიყვარული თავის დარწმუნებას. აღსანიშნავია, რომ არც მშობლურა და არც შვილებრივმა ცხოველთა გრძობამ არ იცის განზრდა, მომატება, განვითარება, განმარტება და გაფოთება; როგორც მშობლებში, ისე შვილებში ეს გრძობები ყოველთვის ერთისა და იმავე დონეზე დგანან, ერთ და იმავე გზით მიმდინარეობენ და ერთ და იმავე უნდაველ სახით წარმოიქმნენ. მსგავსად ცხოველური გრძობისა, აღნიშნულ გრძობებსაც ცხოველთა ბუნებაში ავლდება მსოფლიო ინსტიტუტი და ინსტიტუტის მოთხოვნილების დამოკიდებულების შემდეგ ისევე ქმრებიან და ივარტებიან მათი გულადან, როგორც ცხოველური გრძობა. მაგალითად,

დედა ცხოველს გაცილებით უკეთეს თავისი შვილები, სხანამ მათ სასარგებლოდ, შემდეგში კი, როდესაც იგი შვილებს ფიზიოლოგიურ სიცოცხლისთვის საჭირო აღარაა, ე. ი. როდესაც შვილები გაზარდნენ და ამით დედამ შეისრულა შთამომავლის შენახვის ინსტინქტი, მისი მშობლური გრძობაც თავდება და იკარგება; დედა და შვილები სდებიან ერთი მხარესთვის სრულყოფილი დამოუკიდებელი, უოკელ გვარ კავშირის მოკლებული ქმნილებებისად და საერთოდ გადაჯდებული ძვალი მშობლისა და შვილებს შორის იკითხვე მწვავე და უღმრთელ შეტაკებას იწვევს, როგორც ეს წარმოსადგენია სულ უნდა და უნდა ძალზე შუა. აგრეთვე მატარებლებს თავდადებით უყარს და კალენსებთან თავანთ დედებს, მაგრამ ეს სიყვარული მოქმედობს მათში იმ დრომდე, სანამ საჭიროა მათთვის დედის ძეგლი; დედის ძეგლს თავდასხმების შემდეგ სრულყოფილი იკარგება მშობელს და მასთანაც იმ გარისკვე განწყობილებას იტყვენ, როგორც საზოგადოთ თავანთ უამის დანახებზე ზიარტყუებთან.

ეს საუოკელთაო, მუდმივი და შეუცვლელი გზა ცხოველთა შორის მშობლური და შვილებრივი გრძობის მსკლელობისა და რა მსრით გნებავთ ახლა დადართ იგი აღამიანთა მშობლური და შვილებრივი გრძობებს?

მართლაც, განსაკუთრებულ დროს ფრინველი თავის იშვილებს, ბუმბულს და ბურტულს იძრობს სიკეთარის სსეულიდან, რომ თბილი და რბილი ბუდე დაუშინდოს თავის ბარტყებს, მაგრამ მშობლის მოვალეობის წარმოდგენით და შეგნებით როდა სხადის ამას. არა, იგი მონურად ემორჩილება თავის სსეულის მოთხოვნილებას, ინსტინქტს, რომელიც ძლიან ხშირად სულ უზროდ ამოქმედებს მას. მაგალითად უკვლას ეცოდინება, რომ კრსური ხანდასხან რამდენიმე დღე არა გამოდის სახედრიდან საჭმელ-სასმელისთვისაც კი, თუმცა სახედარი ცარიელია, ე. ი. კრსუნი ზის თავისუფლად არა კერტსებზე. ვის ერთგულობს ამ შემთხვევაში უბედური კრსი? ვისთვის იკვლავს იგი თავს? არა ვისთვის; ასე ამოქმედებს მას მისი ბუნების მოთხოვნილება და მას არ შეუძლია წინაღუდეგს ამ მოთხოვნილებას. ან სიადან უნდა ქტონდეთ წარმოდგენა მშობლის მოვალეობისე თუ გინდ იმ ფრინველებს, რომლებიც ზიარტყუად უნდა გახდნენ მშობლებად, რომლებსაც

ჯერ არ ქტონათ შემთხვევა ამ წარმოდგენის გამოცდილებითი შეგნებისა და მშობლებს კი მათთვის არაფერი ამის მოვალის არა უსწავლებიათ რა და არა გადაურციათ?

არა, ცხოველთა მოქმედება ინსტიტუტურა, ცხოველთა მოქმედება ზიარტყუად შედგება ან სასმლა, ან არ სასამოგნო ინსტიტუტის გავლენისა და ამგვარ მოქმედებებში ზნეობრივი ელემენტის ქუნსა შეუწყნარებელი ახირებულობა, მეტი რომ არა ვსთქვათ რა. რითა, მაგალითად, ზნეობრივი ის, რომ კატა მუსრს აკლებს თავებს თავის ზატრონის სახლში? ან რათ უნდა ჩუთვალათ უზნეობაში, რომ ქურდულად მოიპაროს და ზატრონისთვის დამხადებული ნაღები თითონ მიართვას? მას რომ ამ შემთხვევაში ამოქმედდეს ზატრონისადმი ერთგულება, ან შურა და მტრობა, დიდა, მაშინ მისი მოქმედება დაფასდებოდა ზნეობრივი თვალსაზრისით, მაგრამ განა მოყვანილ შემთხვევებში კატას გასსენება ზატრონი? ვის სთქვა?! კატას ესამოკნება თავებზე ნადირობა და გემრიელი საჭმლის ხელში ჩაგდება და აი ეს გარემოება იწვევს მას საამოქმედოდ, ამ საამოკნების მოპოვების ცდილობს იგი და არა ამას, ზნეობრივია მისი საჭმელი თუ უზნეო, სასარგებლოა სსეებისთვის თუ საზარლო...

ბევრს, უკვლედა, წავითხული აქვს „ოთარანთ ქარივი“ ილია ტკეჭავაძისა და „მოდერნი“ აღ. უაზბეგისა. უნდა მოგახსენოთ, სწორეთ საუცხოოდ, დიდა ხელოვნებით და იშვიათი რიტატობით გაიხატავენ სსეებელი მწერლები ნაწევრებ მოთხრობებში ძლიან ერთგულებას, სიყვარულს და თავდადებულობას კაცისადმი. კვანებ, არა ერთი და ორი მეითხველი მოახიბლებოდა ხელოვნური სურათით და „ოთარანთ ქარივი“-ში გამოყვანილ გულბურვილო მცნებარე თუშვით წამოიძახებდა „ბარაქალა ძლილო“. მართლაც და ბარაქალა იმ ზიარტყუებს, მაგრამ მათ საჭმელში ჩვენ მანინ ზნეობრივს, იმ აზრით, როგორც ეს მიღებულია შეგნებულ კაცობრიობაში, კერაფერს ვერ ეპოვებთ. ოთარტყეს უურმად რომ ერთს ადგილას ჩატყუქდა და საზარელი ეშვილი მორთო, განა მართლაც თოვლ ქვედ მოყოლილი ბუდევი დედაკაცის ეხალვლებოდა რამ? განა იგი თავს იკვლავს, გულს ეურტობდა და სწუნდა იმისთვის რომ აღამიანი გა-

დაჯიანინო, ადამიანი გამოკისისა უბედურობისაგანო? სრულებითაც არა. აქ უფროსი შესარულად იგივე, რასაც ასე მარჯვედ ასრულებენ ხოლმე მისი გარის კარგად დაგეშილი შეძებრება, რომლებიც, მიანებენ ხოლმე თუ არა თავიანთი საცხარ ყნოსვით ნადირის კვალს, თავიანთი ინტერესები რომ შეჭველად სელში ჩაიკონ კვალის დამტკიცებელი ნადირი. ისევე ისე ინსტიტუტი — აი ნადირი და პირდაპირი მიხედა „მოდერნი“ უფროსი და „ოთხნაწიანი ქარივის“ შეფარის საქციელისა.

დაკვირვებების საწმუნოებრივი გრძობა. ძალიან ხანდახან იმა თანავე საწმუნოებრივი მორიდებით შეჭურვებს ხოლმე თავის პატრონს, როგორათაც აღვილია მოწმუნე ადამიანი ღვთისადმი, ბრძანებს დარბის, მაგრამ მხელი გასვება, საიდან გამოტყვევს დარბის ასეთი დასკვნა! გთქვამთ რომ ძალიან მართლად დიდი კრძალულებით, შეტანსმეტი მორიდებით, შესანიშნი ღმობიერებით და შიშით შეტყნის თავლებში თავის პატრონს; მერე რა არის ამაში საწმუნოებრივი? რა გვამდევს საბუთს ვითეჭრით, რომ ძალიან სწორეთ ისეთი გრძობით უჭურვებს თავის პატრონს, როგორც მოწმუნე ადამიანი ღმერთს? საწმუნოებრივი სათაყვანო საგანი უსათუოდ უხილავია, საწმუნოებრივი კრძალულების ობიექტი გრძობათა უჭენასა, სადაც ეს ელემენტი არ მოაბოვება, იქ საწმუნოებრივი გრძობას ალავი არა აქვს და განა პატრონი ძალიანსათვის მიუჭრებელი უჭენასა რამება? არა, სუვევლათური ეს მტკნარი სიძრუვა და აი რა საკუდასსმეორე სიტუებით ასახულებს ამ სიძრუეს თვით უწმუნო ფერბასი: „საწმუნოება მარტო ადამიანის კუთვნილებას შეადგენს, საწმუნოება რომ არსებითად განსხვავებს კაცსა და ცხიკულს და კერძოადეულები ცხიკულთა საწმუნოება, — საწმუნოება სვილოებისა, — მოგონილი ზღაპრისა და შეადგენს უსაქმო ოცნებისა საუფოს.

დიდება, პატივი და თავიანთიცემა ჩვენს დამბადებულს ღმერთსა, რომ ჩვენდა პირუტყვთაგან გასარჩევად, ყოველი გრძობა ჩვენი ბუნებისა დაუმორჩილა მან ჩვენს გონებას, შეგნებას და აზრს! განუსაზღვრელი მადლი და თავიანთიცემა ჩვენე მამას, რომ, აღსანიშნად ჩვენი უშირატისობისა ცხიკულბზე, მარტო ჩვენ მოგვცა ნიჭი ჩვენი

გრძობების უმაღლესი სარისსამდე განვითარებისა, გაუმჯობესობისა და გაკეთილშობილებისა! დაუღუნელი დიდება ჩვენს სახიერ შემოქმედს, რომ მხოლოდ ჩვენ აღგებულა ზნეობრივი, საწმუნოებრივი, ქეშმარიტებისა, სიკეთისა და მშენებრების გრძობებით და მათ მარტო ჩვენთვის განსადა შესაძლოთ ყოველმხრივი განვითარება, უმაღლესი განათლება, მუდმივი წინსვლა, განუწყვეტელი პროგრესი და დაუმრეტელი კულტურა!

სეფეველი.



„არა იცით წერილისა და სტოხიტი.“

(შენიშვნები წიგნაკზე „ახალი ქადაგება“).

(გაგრძელება*)

განვიგრძობთ „ახალ-მქადაგებლის“ სიტყვები: „უბედურ არიან მგლოვარენი, რამეთუ ცრემლები ამტკიცებს მათს უძლურებას, ბრძოლაზე ხელის აღებას. ნუგეში კაცმა ცრემლში კი არა, წინააღმდეგობაში და ბრძოლაში უნდა ეძებოს“... ავტორს ცრემლის არც გამოსავალი ცოდნია და არც შედეგი. ჩვენ ბაღლურ ცრემლზე არ ვამბობთ არამედ სიყვარულის ცრემლზე, რაც ისე საჭიროა ადამიანისათვის, როგორც ბურის ფქვილის შესამტკიცებლად წყალი და როგორც ანთებისთვის ყინული. სიგიჟე არ არის რომ უთხრათ ძვირფას შვილის მგლოვიარე დედას, ნუ სტირით, უძლურებაა ცრემლი, არამედ ებრძოლეთ სიყვარულს და ჰპოვებთ ნუგეშსო. ცრემლი, მგლოვარება, გულის შემუსვრილება ბუნებრივი შედეგია ადამიანის ღვთისგან დაშორების გრძობისა. ვამბობთ ბუნებრივი შედეგია და არა უძლურების, ბრძოლაზე ხელის აღების გამომხატველი. გლოვა მარტო ცრემლი როდია, გლოვა საზოგადოდ სინანული, ვინც არ ნანობს, არ გლოვობს თავის ნაკლულეკანებას, იგი გრძობა-მკედარია. გლოვა სრულიად არ გულისხმობს მოქმედებაზე ხელის აღებას, პირიქით იგი მოქმედების დასაწყისია.

*) იხ. „შინ. საქ.“ № 2.

„ახალ-მქადაგებელი“ ამბობს, ნუგეში კაც-მა ცრემლში კი არა, ბრძოლაში უნდა ეძებო-სო. მაგრამ საიდან გამოიყვანა მან, რომ სა-ხარებაში მოხსენებული მგლოვარე ცრემლში პოულობს ნუგეშს? იესო ქრისტე ამბობს: „ნე-ტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ“. ცრემლი კი არ ანუგეშებს ადამიანს, არამედ სული წმი-დის მადლი, რომელიც უხვად შეაშუქებს მგლო-ვარე გულში. ადამიანი გულისხმის - მყოფელი თავის სულიერ ძვირფას კეთილ-შობლურ მხა-რეების დაკარგვისა, იგლოვს, და ეს გლოვა თან-და-თან აღვივებს მასში ღვთისადმი სიყვა-რულს და უღებს ღვთის მოწყალების კარებს. და ხოლო დაზარალებული და ძლიერთა მიერ დამონაწევებულთა გლოვაც აღსდგება მკვდრე-თით აზნაურებით, დაუსრულებელ ნეტარებით. „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამე-თუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ“.

უბედურ არიან, ცოდვასა შინა მყოფნი რომელნიც არ გლოვობენ და არ საჭიროებენ ნუგეშინისცემას, რამეთუ ეს ამტკიცებს მათს გულქვაობას და უგრძობლობას!

„უბედურ არიან მშვიდნი, განაგრძობს „ახა-ლი-მქადაგებელი“, - რომელნიც ძალ-მომრეო-ბას მორჩილებით ეგებებიან. ისინი ვერასოდეს დაიმკვიდრებენ ქვეყანას... ნეტარ არიან გამ-ბედავნი და ჟრინი, რამეთუ მხოლოდ ეს თავ-დადებულნი მებრძოლნი დაიმკვიდრებენ ქვე-ყანას“. ავტორს არ ესმის რომ სიმშვიდე და ძალ-მომრეობის მორჩილებით შეგება ერთი და იგივე არ არის. მშვიდი არის ის, რომე-ლიც არ აღშფოთდება და არ მიაგებს შეურაცხ-მყოფელს შეურაცხყოფითვე და ძალ-მომრეო-ბით. იგი ძალ-მომრეობას, ძალ-მომრეობას კი არ უყენებს წინ, არამედ კე'შმარტებითს სიტ-ყვას და კეთილ საქმეს. „ახალ-ქადაგების“ ავ-ტორს და მისთანათ ზეცა დავიწყებული აქვს და მხოლოდ ქვეყნის დამკვიდრებას ეძებენ, მაგრამ ვერც ქვეყნიერ სამოთხის მომგებელი გზა შეიგნეს სულიერ მშვიდობის გაუგებრებმა და მხეცურ თვისებით ჰგონებენ სამქვეყნო სა-მოთხეს შინა ნეტარებით დამკვიდრებას! რა გასაკვირველია, ზეციერ ცხოვრების ვარისყო-

ფელს ქრისტეს სიტყვების საიდუმლო მადლი არ ესმოდეს. „ნეტარ არიან მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. ნეტარ არიან არა იმიტო, რომ აქ, დედამიწაზე, ქვეყნიერ დიდებას დაიმკვიდრებენ, ქვეყნის მპყრობელნი გახდე-ბიან, არამედ ნეტარ არიან მშვიდნი, მით, რომ სიმდაბლისა მათისათვის საუკუნო ნეტარება ემზადებათ და მეორედ, აქაცა, დედამიწაზე, სადაცა უბედურებით სავსეა ცხოვრება და მრავალნი თავის სიამაყით, უთმინოებით და ამ-პარტავენებით ვარდებიან სამძიმო საურთხეში და უმეტესობა იღუბება სიფიცხით, მაშინ მშვი-დნი ტკბილად განისვენებენ თავიანთ სულიერ ბაღში. „ახალი მქადაგებელი“ ურჩობით და ომით, მძლავრთა ხოცვით სპობს საადამიანო ბრძოლის ველს და მით ამყარებს სამარადი-სოდ ქვეყანასა ზედა მშვიდობას. გენიოსებიც ასეთი უნდა. ნიციე სუსტთა ხოცვით აბედნი-ერებს ადამიანებს, ხოლო მეორე ესე ახალი ნიციე მძლავრთა ხოცვით და ორივეს ავიწყ-დება რომ ბრძოლა ბრძოლას შობს და ხოც-ვა ხოცვას და მათი მოძღვრება სულ სისხლის ღვარში გვანეტარებს. კარგი, ვსთქვათ, ღღეს დაზარალებულნი და ხოცვით მძლავრთა ხოც-ვა. ამას ქვია ნეტარება და ქვეყნის დამკვიდრე-ბა? ამისთვის სთქვა მაცხოვარმა, ბრმა ბრძანა უძლოდეს, ორივენი მთხრებლში ჩასცივი-ანო.

მშვიდნი, სულით მდიდარნი, ზნეობით მა-ღალნი, გულის სუფევით ნეტარობენ საღმრ-თო მადლის გემოვნებაში. „ნეტარ არიან მშვი-დნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“.

„უბედურ არიან მშიერნი და მწყურვალე-ნი სიმართლისათვის, ბრძანებს ჩვენი ავტორი ნაკვლად „ცხრა ნეტარების“ მეოთხე მუხლი-სა, - თუ არ მოიკლავენ წყურვილს და ყველა-ფერს ღმერთზე მიაგდებენ, რამეთუ ისინი ვე-რასოდეს ვერ გაძლიერდებიან.

ნეტარ არიან ყველანი, რომელნიც უსა-მართლობას გაუმკლავდებიან, რამეთუ გაძარ-ჯვება მხოლოდ ამათ მოელით“. ახლა წავი-კითხოთ ცხრა-ნეტარების სიტყვები: „ნეტარ არიან მშიერნი და მწყურვალენი სიმართლისა-

თვის, რომეთუ იგინი განსძღენ“... ერთის შეხედვით კკუათა მყოფელი კაცი გაკვირდება ამ ორ აზრის შედარებაში. ვინ უთხრა „ახალქადაგების“ ავტორს, რომ იესო ქრისტემ ნეტარი უწოდა ისეთს ადამიანს, რომელსაც სწყურია სიმართლისათვის და არასოდეს იქცევა მართლად და არ უშკლავდება უსამართლობას? საკვირველი დასკვნის გამოყენება! მაგრამ აქ ცხადია, რომ ავტორმა ის ვერ თქვა, რის თქმაც უნდოდა. მისი წიგნაკის დედააზრი არის: ადამიანმა ბრძოლით, სისხლით, ცეცხლით, მახვილით უნდა დაიმკვიდროს ქვეყანასა ზედა, ბედნიერება.

იესო ქრისტემ კი სულ სხვა გზა უჩვენა კაცობრიობას ბედნიერებისკენ—ყველამ საკუთარი გული განიკურნოს ბოროტებისგან; სულ სხვა საშვალეა. მისცა ადამიანს ბოროტებასთან საბრძოლველად—ბოროტებას წინ დაუყენე სიკეთე და არა ბოროტებავე, ვინაიდან ბოროტებას ბოროტებითვე რომ გასცე პასუხი, ამით ბოროტებას კი ვერ მოსპობ, არამედ უფრო გააძლიერებ. ამგვარად უკეთესი იყო ავტორს ამ თავის ბედნიერების მოსაპოვებელ იარაღზე—ელაპარაკა პირდაპირ; მას კი აუღია მახვილი და უხდებოდა თუ არა მაინც ცდილობს ჩაუჩხიროს იესოს ძვირფას და მაღალ სიტყვებს და ამით გამოდის ის რომ, როგორც ამბობს ქართული ანდაზა, „მზეს ტალახს ესვრის და თითონ თავზე ეცემა“.

ალექსი ბერი.
(შემდეგი იქნება).



შინაური და მოგონებანი საქართველოს აკლესიის აფხაზ და ყოფილ მღვდელთა მოგებაზე.

(საქართველოში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბების გამო).

(წერილი არქიმანდრ. სერგისა*)

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გრიგალსავეთ გაღიარა რუსეთის მიწის მრავალტანჯულ პირზე და სისხლით აღნიშნა მის ისტორიის ფურცლები; ამ მოძრაობამ მად-

ლიერი და მიმღები ნიადაგი იპოვა მუდამ ვნებებით შლელვარე კავკასიაში, სადაც საზოგადო პოლიტიკურ მიზნებს დაერთნენ ადგილობრივი და ეროვნული მიზნებიც. 1905 წ. დამლევმა ისეთი მდგომარეობა შექმნა, როდესაც მართებლობა თითქმის მხოლოდ ქალაქზე არსებობდა. ფაქტიურად მართვა-გამგეობა გადავიდა რევოლიუციონერების ხელში, რომლებმაც ხელთ იგდეს რკინის გზა, ტელეგრაფ-ტელეფონი და შესწყვიტეს ყოველგვარი დამოკიდებულება ცენტრთან. მართებლობის ჯარის წინააღმდეგ მათ გამოიყენეს საკუთარი სახალხო მილიცია, რომელიც ებრძოდა მას ყოველი სამხედრო წესების ხელოვნებით.

ამ ატმოსფეროში, ზარბაზნების გრგვინვაში და სისხლის მორევში საქართველოს სამღვდელთა და საზოგადოების ცნობილ ნაწილში ცხადად გამოისახა საეკლესიო მოძრაობა, რომელმაც მიზნად გაიხადა ძველი ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენა. ეს მოძრაობა თავის თავად ახალი არ ყოფილა. იგი ფარულად ყოველთვის არსებობდა დღიდგან ექსარხოსობის დაარსებისა საქართველოში. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც დაბადა მთელი ნაკადული სხვა და სხვა პეტეციებისა, ავტოკეფალობის საკითხი მხოლოდ გამოიყენა ფარულ საოცნებო მდგომარეობიდან და გახადა იგი საგნად საჯარო მსჯელობისა.

არ შეიძლება უარვყოთ ის გარემოება, რომ ამ მოძრაობას უმთავრესად პოლიტიკური სარჩული ედვა თავის არსებობის პირველ ცხოველ ხანაში მაინც, რომ ბევრი თავგამოდებული მაძიებელი მისი იბრძოდა არა იმისთვის, რომ ეღიღებია ძველი ივერიის ეკლესია, დაარსებული ანდრია მოციქულის, სიმონ კანანელის და მოციქულთა სწორის ნინას მოღვაწეობით, მისთვის კი არა, რომ გავერცელებია ხალხში განათლება, აღედგინა დაცემული სული სარწმუნოებისა და კეთილ წესიერებისა ქართველ ხალხში, არამედ მისთვის რომ საეკლესიო ავტოკეფალობის გზით გადაეღა პირველი ნაბიჯი პოლიტიკურ ავტონომიისაკენ. მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ავტოკეფალო-

* იხ. Церк. В. № 45.

ბის მოტრფილეთა შორის ერივნენ ისეთებიც, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ სხვა იდეალებით. რადგანაც ხედავდნენ ხალხში სარწმუნოების თან-და-თან შესუსტებას, იგინი შიქრობდნენ მის აღორძინებას ადგილობრივ ეკლესიის მართვა-გამგეობის რეფორმით.

ასეა თუ ისე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის საკითხი გამწვავდა, დღის ბოროტებად გადაქცა და სამღვდლოების მთელი მღელვარე კრებების რიგისაგან გადავიდა ადგილობრივ და საზოგადო პრესის ფურცლებზე. ამ საკითხმა შექმნა ვრცელი ლიტერატურა მაზედვე შექონდათ დასაბუთებული მოხსენებები უმაღლესად დაარსებულ 1906 წ. კრების წინა კომისიაში.

ამ საკითხის სიმწვავე ცოტა დასცხრა შემდეგ, როცა სარეგოლიუციო უგარმა გაიარა და მხარე ასე თუ ისე დამშვიდდა. ამასვე ხელი შეუწყო განსვენებულ ექსარხოსის წიგნის ორი წლის საქართველოს ეკლესიის ბრძნულმა მართვა-გამგეობამ, რომელიც ბევრს იმედს იძლეოდა, რომ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის შესახებ სრულიად მოიხსნებოდა. მე, როგორც თვით მხილველ მოწამეს, მსურს რამოდენიმე სიტყვა ვთქვა მის მ. ყ. უ. ნაკონის მოქმედებაზე, განსაკუთრებით პირველ ხანებში მის დანიშნვის შემდეგ.

(შემდეგი იქნება.)



სიტყვა აკაკისადმი, წარმოთქმული კ-ნა მრ. ღვთაუბისაგან.

ჩვენს მხარეზედ მზეთ აღმოსულო, დიდებულო პოეტო, აკაკი.

გულწრფელად მოგიძღვნი შენის შრომისა და ღვაწლის მიდლობას, რაც აქამომდე შენის ძვირფასის მწერლობით ჩვენმა სულმა ისახრდოვა.

სიკბუქიდან დღემდე შენი კალამი არ შეჩერებულა, თუმცა მძიმე ნაღვლიდან გამოწვეულმა შენმა ტკბილ-მწარე ჩანგმა და სატირალ-

მა ჰანგებმა მრავალჯერ მწვავეთ აძგერა შენი მოღვაწე გული რა საკვირველია დროთა განმავლობაში სიკბუქე მსკოვანებათ იქცა, სიცოცხლით სავსე სახეს ცვლილების ნიშანი დაეტყო, მაგრამ შენი ქვეყანა არ დაგვიწყნია ის შენი სატრფილო საგანი იყო.

დიდი ხანია ჩვენო საყვარელო მგოსანო, რაც ჩვენ ზამთრის სუსხი და დაბურვილი დღეები გვტანჯავდა, ხან ქარის საზარელი ზუზუნით გულს გვიკრთობდა და სულს გვიშფოთებდა, მაგრამ შენი „გაზაფხულის“ იმედები და „მერცხლის“ ქიკიკის მოლოდინი, მალამოდ ეცხებოდა ჩვენს წყლულს გულს, თანაც სიმხნეს გვმატებდა, ის შენი წყობილი სიტყვები, რომლითაც მოგყავდა მაგალითი ძველი ქართველი დედებისა, თუ როგორ იყვნენ ამხედრებული ბრძოლის ველზე თავის ქვეყნის სიკეთისათვის.

ჩვენ ამის წამკითხველ-გამგონეს იმედები გვიორკეცდებოდა მომავლისათვის ჩვენც გვამზადებდა მტერთან საპასუხოდ. დღესაც მოლოდინის განხორციელებას მოველით. ყოველი მეცნიერული წინასწარმეტყველება აღსრულებულა!

მაგრამ ჩვენო დიდო მოღვაწე, ეგ არის სამწუხარო, რომ თქვენს მიზანს ჯერ ვერ მიახწიეთ და ვერ დასცალეთ ის სავსე ფილა, რომლის დაცლა დიდი ხანია გწყურადა.

ჩვენო სიამაყე, ბ. აკაკი! შენი თანამედროვე დედები, ვალად დაუდგნენ ჩვენს შვილებს, რათა გადასცენ შენი უკვდავი სახელის ქება ანდერძათ შვილის-შვილამდე. ხოლო ჩვენ შენი საყვარელი მამული-შვილები მანამ გადიდებთ და აღფრთოვანებით მოგიგონებთ, ვინმედის ჩვენს გვერდში არ შესწყდება ცემა იმ გულისა, რომელიც უსამართლობისაგან წამებულია მრავალ გზის.

აწუა მრავალეამიერ, პოეტო, თქვენი დიადი მოღვაწეობა!

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მახელიძე**,
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.